

# შინაური საქმეები.

№ 9.

შანი ერთი შური  
 ფლიური შანი 1 მან.  
 წელიწადი შექმნა.

სოფელ-კვირელი გარეთი

კვირა, 10 მარტი 1913 წელი.

ფორმული კვირული გზის

### შინაური საქმეებზე

სკდამ მოწვევა მოდრეს (მე-  
 დროსა, ქ. ქვირისა სს-  
 თრიალთა—კახეთის მე-  
 სკდამ, სკდამიდან სკდამის მე-  
 სკდამი, სკდამიდან სკდამის მე-  
 სკდამი, სკდამიდან სკდამის მე-  
 სკდამი, სკდამიდან სკდამის მე-

წელიწადი 17, და მოდრეს კომპლექსიან სკდამის მე-  
 სკდამი, სკდამიდან სკდამის მე-  
 სკდამი, სკდამიდან სკდამის მე-

**გარეთის შანი:**

წელიწადი: 4 მანეთი. სპ. წელი: 2 მანეთი. შანი: 2 მანეთი.

**ცალკე ნომერი ქუთაისში ერთი შური.**

ფორმული კვირული გზის კვირული და კვირული მე-  
 კვირული და კვირული მე-  
 კვირული და კვირული მე-

ფორმული კვირული გზის კვირული და კვირული მე-  
 კვირული და კვირული მე-  
 კვირული და კვირული მე-

**შინაური 1.** საუბრები, შესაძენი საღამო—ა. კ. ს.; 2. უმ-  
 დები შეილი(დასასრული)—კოტე გველისა; 3. ადვისი ქარ-  
 თელი სტუდენტების და მუშაკის მოწოდების გამო ფ. ხაბაძის; 4. კვირიდან კვირამდე; 5. დევანთ მისე შეგველების დავრადენ—ლადო მუხანელი; 6. მი-  
 ბლითგრაფია—იუსტინე აბულაძეს 7. სტამბოლის ქართველთა მონასტერი—ელ. წერეთლისა; 8. მადლო-  
 ბის გამოცხადება, ა) მლ. მღვ. იუსტინე ტაბიჭის, ბ) მღვ. გიორგი ახალიასი; 9. „შინ. საქმ.“ უმცლა.

## საუბრები მისაშენი საღამო

მართალია, რომ ღმერთი არ არისო?  
 შემოსასვლელ კარებთან ზარის წყარული ისმის. ორივე ქვისლი პეტრე და თეოდა. თხო-  
 ულოდენ საბლში შეშვებებს, რომ, თანახმად დაბირებისა, მოისმინონ გაჭრტელემა წუხელის დაწყებული საუბრისა.

**მღვდელმა** მიიღო ორივე სიამოვნებით, მოკლედ გაიბეგრა წუხანდელი საუბარი, გან-  
 მარტა, რომ სოციალურ საკითხის გადასაწყვე-  
 ტად საჭიროა სარწმუნოება. მეშათა წოდებებს აკლია არა შარტო ყუული ქისაში, არამედ უმე-  
 ტესად სხოველი სარწმუნოება. არის ებ-  
 ლა მეშათა შორის არა შკორენი, რომლებიც ამბობენ, რომ ღმერთი არ არის. დღეს ჰვენ შეუდგეთ იმის გამოცხადებას არის თუ არა ღმერთი?

**პეტრე:** ეგ საკითხი შეგი არ არის, რად-  
 განაცხელი მვერგან ისმის დღობს ახდებობის უარყოფა.

**თომა:** ამასწინად ვიყავი სოციალდემოკრატიის კრებაზე და იქ ორატორად გამოვიდანი ბილი ვქიმი ბ. მან პირდაპირ და გაბედულად გამოაცხადა: მე ატივისტი ვარ და ყველა კვიანურად მოაზრე კაცი უნდა დამეთანხმოს, როცა ვიტყვი, რომ ღმერთი არ არისო, მხოლოდ უმეტრებამ, სისულელემ და შიშმა შეჭქმნეს ღმერთები. ყველა ღმერთები, აგრეთვე ქრისტიანთა ღმერთიც ტყუილია. კაცნი მხოლოდ მაშინ იქნებიან ბედნიერნი, როცა თავს გაითავისუფლებენ ღვთის სარწმუნოებისგან.

**მღვდელი:** მაგონდება, ამ სიტყვის შესახებ მე განხეთქში წავეიკითხე. ამიტომ კითხვა, „არის თუ არა ღმერთი“ დღეს ძალიან შესაფერია და მე ვეცდები, პირველად ყოვლისა, ავხსნა და განვმარტო ეს საკითხი, რომელიც საფუძველია სხვა ყველა ეხლანდელი საკითხებისა. მე გიჩვენებთ, რომ არის ცოცხალი, პირადი ღმერთი, შიტომ რომ ამას ამტკიცებს 1) გონება 2) ბუნება და 3) ისტორია. მე ვამბობ: ღმერთი არის 1) შიტომ, რომ ამას ამტკიცებს გონება. ჩვენი გონება მუდამ გავგახსენებს ხოლმე ღმერთს და გვეუბნება ჩვენ: აუცილებლად უნდა იყოს ღმერთი; გახსოვდეს შენი შემოქმედი; ის გვეუბნება, მე ვარსებობ; არსებობს მთელი ქვეყანაც მისი დიდებით და დიდებულობით, მის აურაცხელ სულიერ და უსულო საგნებით; ამიტომაც, აუცილებლად უნდა იყოს ღმერთი, რომელმაც ყველა ეს შექმნა. შენ გიჩვენებენ საათს და გეუბნებიან: უკვირე, ეს საათი თავის თავად გაჩნდა; ერთი პატარა ნაწილი ლითონისა შემთხვევით შეუერთდა მეორეს, რეორე მესამეს და ბოლოს გამოვიდა საათი. რის იფიქრებდი ან რას იტყოდი, შენთვის რომ ასეთი ზღაპარი ეთქვათ? არ იფიქრებდი, რომ ეს სისულელეაო, და არ გაჯავრდებოდი ამისთანა სისულელის მოსმენით. ან აი წიგნების გამყიდველი გაჩვენებს შენ შილდერის ლექსებს ან სტენლის საკვირველს კომპოზიციის და გეუბნება: ეს ორი ნაწარმოები ხელოვნებისა და პოეზიისა შემთხვევით გაჩნდა ქვეყანაზე, ასო ასოს მივმატა, ნოტი ნოტისა და ბოლოს გამოვიდა ეს ორი პოეტური და მუსიკალური ნაწარმოები. განა შენ უფრო მეტად

არ გაჯავრდებოდი თუ ძალის დაგატანდნენ, გინდა თუ არა ერწმუნე ამ ფანტაზიასო. სულ ძლიერი საბუთი ღვთის არსებობისა არის ის უსაზღვრო სიბრძნე და მიზნის შესაფერობა, რომელსაც ჩვენ ვხედავთ ყველგან ხილულს ქვეყანაში. აიღე სულ უმნიშველო მცენარე, შეისწავლე დაწვლილებით მისი ზრდა-აგებულობა და შენ უთუოდ იტყვი: ამაზე უკეთესათ გაკეთება შეუძლებელია იყო. გამოიკვლიე ცხოვრება და აგებულობა ქიისა, ფუტკრისა და შენ დამეთანხმები, რომ ეს უმნიშვნელო მწერი აგებულია განუზომელის სიბრძნით სასაზრდოოდ და თვისის არსებობის გასაგრძელებლად. აიღე თოვლის პატარა ფიფქი, გაშინჯე ის გამადიდებელი შუშით, შენ განცვიფრდები ამ საკვირველად ხელოვნურის ნაწარმოებით, მისი სილამაზით და მიზნის შესაფერობით. შეისწავლე თუ გინდა ერთი ორად ორგანო შენის სხეულის, მაგ. თვალი და შენ დანახავ შენს წინაშე ნაწარმოებს ისეთის განუზომელის სიმშვენიერისას, ხელოვნებისა და მიზნის შესაფერობისას, რომ უეჭველად წამოიძახებ: არაოდეს კაცის გონებას არ გამოუგონია მისი მსგავსი რამ, ვერც შემდეგში გამოიგონებს. და როგორც სულ უმცირესში, ისრე უდიდესშიაც თქვენს წინაშე იშლება კვალი ჩვენთვის მიუწთომელის სიბრძნისა. შესაძლებელია განა, რომ ეს მილიარდთა მილიარდი დაუსრულებლად ბრძნულ და განსაკვირვებლად მიწის შესაფერ ქმნილებათა, სახეთა და დაწესებულებათა იყოს ნაწარმოები ბრმა, უსულიო და უგონო ძალისა? ამ შემთხვევაში ათასჯერ უფრო შესაძლებელია, რომ ჩვენი საკათედრო ტაძარი წარმოსდგა ზომიერი მიწის ძვრისგან, რომელმაც ერთმანეთზე დააღაგა ქვები და ათასჯერ უფრო შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ თვითონ შენი სახლი აშენებულია ქარიშხლისაგან, რომელმაც შემთხვევით შეაერთა ქვები და კოჭები.

**თომა:** ეგ სრულიად მართალია; მაგრამ შეიძლებაო, რომ ქვეყნიერობასაც და ყოველსავე, რაც მოთმიათარსებნა საუკუნოდგან?

**მღვდელი:** ეხლანდელი წყობილება ქვე

ყანაზე საუკუნო არ არის, ის მნათობი, რომელიც ეხლა ჩვენ გვიგზავნის სინათლეს და სითბოს და მასთან ერთად სიკაცხელს არის მზე, ვანა საუკუნედგან ტრიალებს დედამიწა მზის გარშემო? ეს შეუძლებელია. როგორც გახურებული რკინა, თავისგან სხივების გამოშვებით თანდათან ცხდება, ისევე ცივდება სხივების გამოშვებით მზეც რადგანაც მზის სიციხე დიდი და ძლიერია. რასაკვირველია. ეს სწარმოებს ძალიან ნელა და ჩვენთვის შეუმჩნეველად. მაგრამ ასე ათას და მილიონ წელთა განვლის შემდეგ, დადგება ემი და მზე აღარც გაგვიჩაოთებს, აღარც გაგვათბობს. მაშინ მთელი დედამიწა გაიყინება და სიკაცხელე შეუძლებელი იქნება. მზე რომ მისის ეხლანდელის სახით საუკუნო იყოს, ის უკვე აქამდე გაცივდებოდა და დედამიწა დიდი ყინულის თოში და იქნებოდა.

ამ რიგად უნდა ითქვას, რომ ეხლანდელი სახით ჩვენი მნათობთა სისტემა საუკუნო არ არის. საუკუნოა მხოლოდ მასალა, რომლიდანაც ის წარმოსდგა და ძალები, რომლებიც მაშინ მოქმედობდნენ. მაგრამ ეს არაფრად არ ეხმარება ღვთის არსებობის უარის მყოფელს, მიტომ რომ კიდევ იბადება საკითხი: როგორები იყვნენ ის ძალები, რომლებმაც ეგრედ წოდებულ პირველ მატერიიდან გააჩინეს ქვეყნიერობა? თუ ისინი იყვნენ ბრძემები, უსულლო, უგრძობელი, უგრძენი, მაშინ განუზომელი სიბრძნე ქვეყნიერის წესიერებისა წარმოსდგებოდა საუკუნო სისულელისგან. ხოლო თუ ამ ძალებს განაგებდა ერთი ყოველის გამკვრეტი სიბრძნე, მაშინ აღცილებლად აქ უნდა იყოს ვინმე, რომელსაც თვითონ აქონდა ეს სიბრძნე. ამ რიგად, ჩვენ ხელახლად ედგვართ წინაშე ღვთისა.

ღვთის არსებობა ისე ცხადი და საზოგადოთ ცნობილია, რომ მე ვჭვი მაქვს ღვთის არსებობის უარის მყოფელის გონების სისაღყმი, ამბობს ძველი წარმართთა ორატორი ცრცერონი.

**პეტრე:** მაშასადამე, ეხლანდელი წარმართები, რომლებიც ღმერთს უარყოფენ ძველმზე უარესები არიან, რადგანაც მათ უნდა

იკადნენ ეს სისულელე. ხოლო თუ ისინი ფიქრობენ, რომ დიდს რაშე საქმეს არივებენ, ეს მხოლოდ იმას მოწმობს, რომ მათაც არ შეუძლიანთ, ან არ უნდათ ისარგებლონ თავის გონების საბუთებით.

**თომა:** აქამდე მე კიდევ რაოდენად ნდობით და პატივისცემით ვეპყრობოდი სოციალ-დემოკრატიის შეთაურებს; მაგრამ უნდა გამოვტყდე, რომ ჩემი პატივისცემა მათს დიდ მეცნიერებისადმი თანდათან ისობა, სახელდობრ მაშინ, როცა ისინი ამტკიცებენ, რომ ღმერთი არ არისო! ასეთი აზრებით ისინი ეწინააღმდეგებიან კაცის გონებას, რომელიც გვეუბნება ჩვენ, რომ ღმერთი არის.

**მღვდელი:** მე ვხედავ თომა, რომ თქვენ სწორედ მიხედით იმ საბუთებს, რომლებიც მე აქამდე მოვიყენე და გულით მიიღეთ. მაგრამ თქვენ გაიგონებთ უფრო მეტს საბუთებს ღვთის არსებაზე დასარწმუნებლად. შემდეგ მე მოვიყვან სხვა საბუთებს. მე ვამბობ: ღმერთი არის:

2) მიტომ, რომ ამას ამტკიცებს მთელი ბუნება. ჩვენ აქ ვხედავთ ისეთ წესრიგს, ისეთ მიზნის შესაფერობას, ისეთ საესებას სიბრძნისა და ძალისას, რომ არ შეგვიძლიან არა ვთქვათ: აქ უეჭველია მოქმედება ფრიად ბრძენი და ძლიერი სჯულმდებელი, რომელმაც ყოველივე ასე ბრძნულად მოიფიქრა და მოაწყო. ამაზე გვარწმუნებს ჩვენ შეხედულობა ბუნებაზე, რომელიც ჩვენზე მაღლაა. ჩვენ ვხედავთ ცაზე მზეს, მთვარეს და ვარსკვლავებს. ეს ისე დიდი მნათობებია, რომ ჩვენს დედამიწაზე გაიღლებით ღიდები არიან. უის ყველა მნათობები მათის არსების დასაწყისიდანვე მუდამ მოძრაობაში არიან და არაოდეს არ მომხდარა ისეთი უბედურობა, რომ ერთი მგორეს დასჯახებოდეს; როგორც მაგ. ორი რკინის გზის მატარებელი. სასწაულებრივი არ არის ვანა ეს წესი და სიბრძნე, რომელიც აქ სჩანს. ვანა აქ ცხადი არ არის მოქმედება ფრიად ბრძენის ოსტატისა, რომელმაც გააკეთა ეს ზეცური მანქანა და ამოძრავა? ვანა ჩვენ, სიბარულით და დარწმუნებით აღსავსენი, შევრთებულთ არ უნდა დალაღვყოთ: **ცანი უთხრობენ დი-**

დებასა ღვთისასა და ქმნულსა ხელთა მისთახა მიუთხრობს სამუარო? (ფს. 18,1).

ამაზე გვარწმუნებს ჩვენ ყოველივე, რაც არის ჩვენ გარშემო; ეს სიბრძნე, ეს სახიერება და ყოვლად შემძლებლობა ღვთისა ჩვენ შეგვიძლიან დავინახოთ იმ წამსვე, შევხედავთ თუ არა დედამიწას. ჩვენ ვხედავთ მინერალებს, მცენარეებს და ცხოველებს, მაგრამ განა ისინი არ გვეუბნებიან ყოვლად შემძლებელ აღმშენებელის და ოსტატის შესახებ? შეხედე, როგორ ბრწყინავენ და მშვენიერი არიან ცნობილი მინერალები თავისი მომხიბლავი ფერადებით, სხეები კი ხელოვნური კრისტალიზაციით. შეხედე მცენარეთა სხვადასხვაობას და ყვავილების მშვენიერებას. შეიძლება განა, რომ ისინი შემთხვევით წარმომდგარიყვნენ? ნუ თუ აქ ყოვლად შემძლებელმა შემოქმედმა არ გამოაცხადა თავისი ხელი? ხოლო, როცა შევხედავ ცხოველთა ქვეყანას, რაედენ ცოცხალ არსებას ვხედავ მე აქ! ისინი ყველანი ხარობენ და უფროხილდებიან თავის სიცოცხლეს. თვითთულ ცხოველს აქვს თავისი ბუნებრივი მოთხრეწილება, ალლო, რომელსაც ის მისდევს, რომლითაც იგი არსებობს. ფუტკარი ისე საკვირვლად აშენებს თავისს უჯრებს, რომ ისინი მკიდროდ არიან ერთმანეთზე მისულნი და ინახავენ თავლს, რომ არ დაიღვაროს. ჭიანჭველა სთხრის ძაბრისებურ შესავალს მიწაში და უკდის საშოყარს, რომელიც მას ხელში უნდა ჩაუყარდეს ამ ძაბრიდან. არიან ცხოველები, რომლებსაც ზამთრობით სძინავთ, არიან ისეთებიც, რომლებიც საზამთროდ საქმელს ინახავენ ხოლმე. გუგული, როგორც ცნობილია, სხვა ჩიტების ბუდეში სდებს ხოლმე კვერცხებს, და იმ ჩიტების ბუდეში, რომლებიც იმავე საქმლით საზრდოობენ, როგორც თვითარს გუგული. ვინ მისცა ეს ალლო ცხოველს? ნუ თუ ეს ჭკნა მხოლოდ ბრმა შემთხვევამ, ან ბუნებამ? განა უფრო საბუთიანად არ გვიბასლებენ ისინი, რომლებიც ხედავენ იმაში უმაღლესს, სუფიერ არსებას, რომელმაც გამოიკონა ასეთი მიდრეკილება და მიანიჭა ის თვის ქმნილებას? და ეს უმაღლესი სუფიერი

არსება არის ის, რომლის შესახებაც საღვთო წერილი ამბობს: -ყოველივე, შენ უფალო, სიბრძნით ვქმენ“ (ფს. 103,24).

მაგრამ ჩვენი შინაგანი ბუნებაც, ჩვენი საკუთარი ბუნება გვარწმუნებს, რომ არის ყოვლის მკოდნე, ყოვლად სახიერი და ყოვლის შემძლებელი ღმერთი. როცა ცნობილია გალენმა, ნატურალისტმა დასწერა 17 წიგნი კაცის სხეულის აგებულების შესახებ, მაშინ უთხრა თავის მეგობრებს: „უკურეთ, აქ მე შევადგინე ერთი შეუწყვეტელი ქებით საგალობელი ღვთის სიბრძნის, სახიერების და ყოვლად შემძლებლობის სადიდებლად!“ მთელი ბუნება კაცისა ისე საკვირველად არის აგებული, რომ დაახლოვებით გამოკვლევა მისი, არის იმავე დროს ქება ყოვლად შეცნიერის, ყოვლად სახიერის, ყოვლის შემძლებელის ღვთისა. წარმოიგინეთ თქვენ. მხოლოდ საკვირველი აგებულობა თვალისა ან ყურისა. როგორ ხელოვნურად არის მოწყობილი გარეგანი სახე ყურის, გვრედ წოდებული ყურის კანკატელა. მას მისდევს სასმენელის გასავალი, რომელიც დაკლავნილია მისთვის, რომ ხმა ერთბაშად არ შევიდეს ყურში, არამედ თანდათანობით, ყური არ ეტკინოს. შემდეგ შიგ ყურში როგორი საკვირველი აგებულობაა! პირველს ადგილზე აქ არის გარსი, რომელზედაც გარედან სიმსავით გაჭიმულია მგრძობიარე ძარღვი, შიგნიდან არის სამი ძალიან ნაზი ძვალი, სახელდობრ გრდემლი, ჩაქუჩი და უზანგისებური ძვალი, ესრეთწოდებულნი შიტომ, რომ მზავსება აქეთ ამ საგნებთან. ეხლა, როცა ხმა ყურში შედის, მაშინ სწარმოებს მოძრაობა, რომელიც გარდაეცემა უზანგისებურს ძვალს, გრდემლს და ჩაქუჩს, ამის გამო მომხდარი მოძრაობა ნერვების საშვალეებით გარდაეცემა სასმენელს და სულს. ეს საკვირველი აგებულობა ყურის განა არ ამტკიცებს, რომ უთუოდ უნდა იყოს ბრძენი ღმერთი.

**პეტრე:** მე არ ვფიქრობდი, რომ ჩვენს მაღლა, ჩვენ გარშემო და ჩვენ შინაგან მყოფი ბუნება შეიკავს ასეთს საკვირველს საიდუმლოებას. მართლაც და, ეს არის წიგნი, რომელშიც ჩვენ,

თუ მოვისურვებთ სერიოზულად და წესიერად ვისარგებლოთ ჩვენის კაცურის გონებით, ცხადად წაეიკითხავთ: არის ღმერთი და მხოლოდ უკუნურს შეუძლიან უარპყოს იგი და სთქვას, ღმერთი არ არისო.

**თომა:** მე დიდი მადლობელი ვარ თქვენი, მაშაო, რომ მოგვიყვანეთეგ საბუთიბუნებიდან. სოციალისტების მეთაურები მუდამ ტრაბახობენ ბუნებისმეტყველების ცოდნით.

**მღვდელი.** დიახ შეისწავლეთ დაწერილებათ ბუნების საიდუმლონი, მაგრამ თვინიერ წინაღვე აღებულის იქვისა, და თქვენ არ დაადგებით სოციალისტებივით იმ დასკვნას, რომ ღმერთი არ არისო; პირიქით ეს შესწავლა მიგვიყვანთ თქვენ ცხოველის ღვთის სარწმუნოებაშდე.

უფრო საბუთიანს, სრულს და ღრმა ცოდნას მივყევართ ღმერთთან, ნახევარი ცოდნა კი გვაშორებს ღვთისგან, სთქვა ჯერ ისევ ბეონ ვერულამელმა.

მე მაქვს კიდევ სხვა საბუთებიც ღვთის არსებობისა: მე ვამბობ ღმერთი არის.

3) მიტომ, რომ ამას ამტკიცებს ისტორია. ისტორია გვიმტკიცებს ჩვენ, რომ ღმერთი სწამთ არა თუ მხოლოდ უმრავლესობას, არამედ სულ უკეთეს და უგონიერეს კაცთა. უარყოფა ღვთისა, ანუ ათეიზმი არის მხოლოდ კრძალ მოვლენა, მაშინ როცა ღვთის სარწმუნოება ჩვენ გვხდება კაცთა მომეტებულს სიმრავლეში.

ის, რაც თავისი კუთხით სამართლიანად მიაჩნია ერთს კაცს, შეიძლება იყოს ცთომილება, მაგრამ რაც მთელს კაცობრაობას მიაჩნია ჭეშმარიტებად, ეს არ შეიძლება იყოს ყალბი ან ცრუ. ეს დაამტკიცა ჯერ ისევ ისეთმა დიდებულმა გვამმა, როგორც არის თომა აქვინელი, რომელმაც სთქვა: „რასაც ამბობენ და ამტკიცებენ საზოგადოდ ყველანი, ის არ შეიძლება რომ სიკრუე იყოს“. ხოლო ძველი ფილოსოფოსი არისტოტელი ამის შესახებ ამბობს ასე: რასაც სთელიან ჭეშმარიტებად ყველა კაცი, რომელნიც ხელმძღვანელობენ ერთი აღლოთი, ეს არის

ჭეშმარიტება ბუნებითი“. ამ რიგად, ისტორია გვარწმუნებს, რომ კაცობრაობას ყოველთვის სკოდნია ღმერთი, თუ გინდ ცრუ მაინც. ასე რომ უკვე ციცერონს შეეძლო წარმართთა სახელით ეთქვა: არ არის არც ერთი ერი, რომელიც რომ იყოს ისე ველური და ბრიყვი, რომელსაც რომ არა ჰქონდეს სარწმუნოება ღვთისა, თუნდაც რომ არ იცოდეს მისი არსება.

როცა მეთვრამეტე საუკუნეში საფრანგეთში ურწმუნოებმა უარპყევს ღმერთი და სადაველი სახე ქალისა გამოაცხადეს ღმერთად, მაშინ მათ უნდოდათ გაემართლებიათ თავისი ურწმუნობა მითი, რომ ამტკიცებდნენ, არა მარტო მათ, არამედ არც ერთს ერს არ უნდათ იცოდნენ რამე ღმერთზეო. ამ აზრის დამტკიცების დროს, ისინი სირცხვილელ ქმნილნი დარჩენ; მიტომ რომ ვერ დაასახელებს ვერც ერთი ერი, რომელსაც არა სკოდნოდა ღმერთი, ან რომელიმე ღვთაება. „მთელს წარმართობას დაცული ჰქონდა იდეა უმადლესის არსებისა, და ველურებს ხშირად უფრო ცხადად და გარკვეულად, ვიდრე განათლებულ წარმართებს“, ბრძანებს ერთი სწავლული (ლიუკენი).

როგორ ძლიერი იყო ღვთაების რწმენა ძველ ეგვიპტელებში, და რწმენა ერთის ღვთისაც კი, ამას ცხადპყოფს შემდეგი წარწერა ერთ ტაძარზე: „მე ვარ ის, რომელიც არის, იყო და იქნება; არც ერთ მომაცვდავს არ აუხდია ჯერ ის საბურავი, რომელიც მე შეარავს“!! ქრისტიანებმაც კი ვერ იპოვეს ამაზე უკეთესი და სწორე წარწერა ღვთის ტაძრისთვის.

როცა ესპანელები ამერიკაში დაშვიდრებას სკდილობდნენ და დაიწყეს იქაურ მკვიდრთა შევიწროება, ერთხელ ამერიკელთა ერის მეთაური მოვიდა მათთან და მიმართა ასეთი საბრალმდებლო სიტყვებით: „თქვენ, ბრძენო, თუმცა ჩვენზე ძლიერები ხართ, მაგრამ დიდი სული, რომელიც არის მალა ზეცას ოდესმე დაგვჯიუთ თქვენ უსამართლო საქმეთათვის.“ ეს ორი მგალითი საქმარისია დასამტკიცებლად ამისა, რომ სულ უველურეს ერთაც კი აქვთ

ლეთის რწმენა. ხოლო ის, რაზედაც თანახმანი არიან სულ ყველანი არ შეიძლება იყოს სიკრულე. მაგრამ, თუ ეხლანდელ დროში გვხვდებიან სწავლული და უსწავლელი ათეისტები და ურწმუნონი, ამან არ უნდა შეგვაშინოს, რადგანაც მათ წინააღმდეგ არის მოწმობა ისტორიისა.

**პეტრე:** ღიას, ისტორია ამტკიცებს, რომ უმკველად უნდა იყოს ღმერთი, მიტომ რომ იგი ყველასა სწამთ, ხოლო თუ ზოგიერთნი უარწყოფენ ღმერთს არსებას, ამას მიტომ სხადიან, რომ ზორორად სცხოვრობენ და არაფერს სიკეთეს მისგან არ მოელოან.

**მღვდელი:** ანდაზად ნათქვამია: „როგორიც არის შენი გული, ისეთივეა შენი ღმერთიც“. ამიტომ ასე ხშირად ღმერთს დასცინიან ხოლმე. გაფუჭებული გული კაცისა თვითონ თავისთვის შეადგენს ხოლმე ცნებას ღმერთზე, ამიტომაც ღმერთი ხშირად დაცინვის საგნად ხდება ხოლმე. აქედან წარმოსდგება ის, რომ ზოგს ღმერთი წარმოდგენილი ჰყავს ისეთ არსებად, რომელიც სრულიად არა ზრუნავს ქვეყნისა და მის მცხოვრებთათვის. სხვები კი მიაწერენ მას შოწყალე მამის თვისებებს, რომელიც არასოდეს არა სჯის.

**თომა:** ეს, სამწუხაროდ, მართალია; საკმარისია შხოლოდ გამოსცადო შენი გული, და მაშინვე იტყვი: ეიღრე პატოსსურად ვცხოვრობ, იმ დრომდე ჩემში არ არის ეჭვი ღმერთის და ჰერმარტ არსებაზე. მაგრამ, დაეიწყებ თუ არა სულად ცხოვრებას და დაეშორდები ღმერთს, მაშინვე შეზადება ხარწმუნოებრივი ეჭვი და მე ვკდილობ შორს განვაგდო ჩემგან ყოველივე აზრი ღმერთისა და საუკუნო მისაგებულის შესახებ.

**მღვდელი:** ეს სწორედ ასეა ხოლმე. ხვალ საღამოს მე გაჩვენებთ, რომ ურწმუნოებმა ყველაფერი მოიგონეს იმისთვის, რომ არ იწამონ ღმერთი. ასე, ხვალ ჩვენ კიდევ ვნახავთ ერთმანეთს და კიდევ ვისაუბრებთ. ღმერთი იყოს აქვენი მფარველი.

ა. ზ.

## უძლები შვილი.

(ნათარგმნი\*).

### II.

მამა ჩემს ორი ძე ვყავართ მე უმრწემესი ვარ. ჩემ ძმას პატრესა სცემდენ და ყველაფერში უჯერიდენ. ის განიერიც იყო და ოჯახის მოჭირნახულე. ყოველივე მისი რჩევით კეთდებოდა და ყოველივე მის ხელთ იყო, რასაც კი მოისურვებდა. მე კი ძრიელ შევიწროებული ვიყავი სახლში, არც პატივი, არც სიხარული; არამედ საყვედური და დღიური ჭირ-ვარამი. ჩემთვის არავინ ზრუნავდა. მე ვიყავი სასაპალნე სახედარი, რომელსაც ხანამ საჭიროა, კვებავენ. მძიმე ცხოვრება უღელივით მაწვა კისერზე.

ერთ დროს წავსდექი მამაჩემის წინაშე და შევესთხოვე ჩემი კერძო სამკვიდრო. ის მდიდარი იყო. თხოვნა ამისრულა. მის ქონებას ამით არაფერი აკლდებოდა; მე კი გაეთავისუფლდი. უთხარი „კობან“ და განვიყარე ფერხთაგან ჩემთა მტვერი ბითსაიდისა.

წავედი ქვეყნად სიხარულის, სიყვარულის, სიამის საძებნელად და ყოველივე იმისა, რაც თვალს ახარებს და გემოვნებას ანებივრებს. ჩემმა შემოქმედმა ღმერთმა, — ვამბობდი მე, — მისთვის შემქმნა, რომ ვიცხოვრო. და აი ამ ღმერთს მე აღთქმა მივეცი. მას მე თავყანსა ვსცემდი იერუსალიმსა, ალექსანდრიასა და რომში, რადგან ყველგან მისი საკურთხეველნი არიან აღმართულნი და ერნი ყველგან მას იდიდებენ ფარულად და ცხადად.

გაუიდა დრო და ჩემს თავს უთხარი: „ამაო, ამათა, ყოველივე ამაო არს!“ რადგან საუცხოვო მეჯლისიდან გულ-მკედარი გავდიოდი გარეთ და უგნური ხეტიალის შემდეგ მარტოდ-მარტო დაეზუქავდი თვალებს.

მაშინ მე გავიფიქრე: „ყოველივე სიამოვნებაზე უკეთესი უფლებია მეთქი, ვისაც ქეთი და სიამოვნება სურს, ძლიერთან და ჩინებულთან უნდა დაძჳოს, იგინი მას სათნო ეყოფიან და დიდი უფლებითაც შემოსენ მეთქი“.

\* იხ. „შინ. საქმეები“ № 8.

და კიდევაც ჩავიბრუნებ იროდეს კარის კაცად.

მოხუცმა სალოცმა გადააფურთხა, გადაავლო ქვა უკუნეთში და ზიზლით წარმოსთქვა: დეე, ეს ქვა დაეცეს იროდეს საფლავს, წყეული იდუმელი ძაღლის საწარეს. ფიცის გამტებს, ტაძრის ჩირქის წამტებს! მაგრამ ჩქარა მოგვივლენს ჩვენ უფალი აღთქმულ მაცხოვარს ისრაელის ქვეშაირიტ მეუფეს.

— იროდმა აღერსიანად მიმილო, — განავრძო ამიელმა, — რადგან მისთვის გამოსადეგი ვიყავი. შემძღვა თვის სრა-სასახლეში, დამსვა თვის სუფრასთან და თვის კარის კაცებთან გამოჩინა ბინა. მე ისე დამიხლოვდა იგი, რომ ჩემგან ფულის სესხულობასაც არ უკადრისობდა. მისი სახლი იყო მაცდურობის და უგნურობის, სიკვდილის და უსიტყვაობის და გავივებული თავაშვებულობის სახლი.

იქაური არეული ცხოვრების აღმა მეც გამიტაცა და სიყვარულის წყურვილი არ მასვენებდა. მსურდა გამეზიარებინა ვისმეს თვის ჩემი გულის აღვზნებული სისხლი.

და აი, ერთ-ერთ სახლში დამალული კარს უკან, თვალი მოვკარ ერთ მხვეალ ქალწულს, რომელიც როკვიდა მდიდართა და დიდებულ სტუმართა წინაშე. ასაკით იქნებოდა ასე თხუთმეტი წლის, ნაზი და თასმასავით დაქნილი; როდესაც როკვიდა, ლერწამივით იხრებოდა: მაგრამ თვალებში კი სიკვდილის სევეა ემჩნეოდა და მისი თეთრი სხეული მთლად დასერილიყო. როდესაც შროკველი წაიბოროდიკებდა, სტუმრებს სიცილი წასქდებოდათ. ის წაიქცა და დისახლისმა დაუშინა ხარის ძარღვი.

მოხუცი დედაკაცისაგან მე გამოვისყიდე იგი და ჩემს სახლში წაშოვიყვანე. მისი სახელი იყო თამარ, იგი იყო შორებელი, თოვლიან კავასიონის ასული. მე იგი შეემოსე აბრეშუმსა და ოქრომკედში. მე მას თავს ვეველებოდი ფარვანასავით, ასე რომ ჩქარა დაუბრუნდა წინანდელი სილამაზე და ნუშის ყვაილივით აყვავდა. იგი შეიქნა ჩემი ცოლი, ჩემი სიხარული, ჩემი სიციცხლის მდენიერება. ოხ, ამართა ამართება!

საიდან გაიგო იროდემ, რომ მე სახლში ვინახავდი საუნჯეს, ეს ვერ გავიგე. ერთ დროს მე მან კაცი გამომიგზავნა, მიმიყვანეს მის სახლში, მეფემ ერთ საიდუმლო ოთახში შემიყვანა და იქ შემფიცა სიყვარულსა და ერთგულებაში; ის იმ დღიდან ისე დამიხლოვდა, რომ ჩემზე უკეთესი დედამიწაზე სხვა არავინ ვაიხნდა. ამისათვის მე უნდა წავსულიყავი რომს ცეზართან უსტარის მისატანათ. ამ უსტარში იყო დაცული ერთი გამოუთქმელი დიდი საიდუმლო, ჩემი სიმდიდრე მან მიიბარა; დაბრუნების შემდეგ დიდის სარგებლით უნდა ჩაებარებია. იერუსალიმში ერთი დიდი თანამდებობაა, რომელსაც ცეზარი დიდის სიხარულით მას უბოძებს, ვინც ასეთ დიდს სამსახურს გაუწევსო. ასე მომიბოლა იროდემ დანაპირებით და მახეში გამაბა!

წავდექი ცეზარის წინაშე და მივართვი უსტარი, რომელიც დიდს, ერთი გამოუთქმელი მისთვის საიდუმლოს იცავდა. ის კი უსტარის კითხვის დროს იცინოდა და, რომ ჩაიკითხა, პანლურის ცემით გამომაგლო გარეთ.

ცარიელი ჯიბით მომიხდა უკან გამობრუნება.

ავიხადე ბეჭდები და გავყიდე, რომ როგორმე სავაქრო გემით იოპიამდე მიმეხწია... მაგრამ ერთბაშით ვერ მივახწიე იქამდის... უბედურება თან მდევდა! მე, როგორც არავისათვის გამოსადეგი ჩვარი, ელადის კიდებზე გადამისროლეს და იქ, შიმშილობის დროს, ვმწყემსავდი უწმინდურ ცხოველებს მელორესთან და ჩემი გული სიხარულით ივსებოდა, თუ კი შიმშილს თავს დაეახწევდი და ღორების როფიდან რკოთი ვაფდებოდი, როდესაც დაბოლოს, მივეთრიე იოპიამდე, გავიგე იროდემ იერუსალიმს აღარ იყო, ის ერთი თვით გასამხიარულეზოდ პატარა სამოთხის მთაზე გახიზნულიყო, — აი, იმ მთაზე, — და მეც იქითკენ გავეშურე ქვეითათ.

— და იქ, მთის წვერზე, სადაც ამ ვამადაც დარბაზებში ცეცხლს ბრალი ვაქვს, ვიხილე იროდი.

ყურადღებით მსმენელმა მწყემსებმა კვლავ

გადააფურთხეს და მოხუცმა სადოკმა წყნარად წარმოსთქვა:

— დეე, მუდამ სკოცხლობდნენ მისი წვეული გვაშის შტრუნული მატლები!

— მეფე სასეროდ დაბრძანებულიყო თვის ძვირფასათ შემკულ ტახტზე. დარბაზი გატენილი იყო ჩინებულებით და მისი დაახლოებული შვეგობრებით, მონანი ასხამდნენ ღვინოს ოქროს სასასწოვებში. წყნარი მუსიკა ტბილად უკრავდა და ყველას თვალები შუა დარბაზში შროკავ გატიტვლებულ ახალგაზდა ქალისთვის მიეშტერებოდა.

— რაკვიდა თამარი! მისი თეთრი სხეული გამოკრთოდა მისი სამშობლო კავკასიონის თოვლივით და ლოყები ატკრცილებოდა ბროწეულივით. მისი ცეკვა ფეთრი გველის კლავნას მიავადა. გაათავა თუ არა ცეკვა, თხელ, გამსჭვირვალე ღრჩაქში გამოხვეული, ბალიშზე მიეგდო სუნნლოვან ყვავილთ შორის, იროდეს ფენით...

მაშინ წარვსდები მე მის წინაშე... მაგრამ სადღა ვიყავ, მე მისი მეგობარი, ცეხარის მოციქული...

— საბრალო გამოყვეყჩებულო, რას მივდებ მოედები რაღაც შენს სიმდიდრეზე, რომელიც თითქოს ჩემთვის მოგიბარებია, ან ის ქალი, რომელიც ცეკვავს ახლა აქ, შენი არის? მე შენ გიცნობ. დიახ, გიცან! შენ არ ბრძანდები ამიერი, გამორჩევილებული ვალილეველი მწვემსი, რომელიც მუდამ მეკედლებოდი წინათ... მიეცით მაგას ჩემი ძველი ტანისამოსი და რომელიც ჩემი გამოუსადეგარი ჯოხი... გაათრიეთ აქედამ! მაგას ჰყავს ჩემს ფარაში რაღაც ოკოოდე თხა-მცხვარი მთის ვადალმა, გადაუთვალეთ და მიიხრეთ, გააძვეეთ აქედან!..

მე ერთი თვალის გადავლენა კიდევ მოვისწარი თამარს, რომელიც ყვავილებში გამოთილიყო. მანაც შეგიერად ერთი გადმოხმედა და შიგ ფეხებში მომადურთხა ისე, როგორც თქვენ გადააფურთხებთ ხოლომე, როდესაც იროდეს სახელს ვახსენებ.

— ჩემს აფოა დიდებას გზაში შევადგენდა

აი ეს ტანისამოსი და ეს თხა-მცხვარი, მე ისინი გერბონის ვაღმა ნაპირზე გავრევე ჩრდილოეთისაკენ, ესკოლის ხევე ვაღმა, სოლომონის ჯურღმულებს ვადაღმა რომ შთებია... ასე ვიბოლიაღე, სანამ აქ, თქვენ ცეცხლთან, არ მოვეთრიე...

შოამბე შესდგა და თავი ჩალუნა, მწვემსები გაკვირვებულნი უტკერდნენ.

— რა მწარე ბედის წერა გქონია, — უთხრა მოხუცმა სადოკმა, — ამასთან უდიდესი ცოდვილიც ყოფილხარ.

— ახლა ხომ ნანობ? — აღერსიანად წაილაპარაკა ნათანმე, უნტროსმა მწვემსმა.

— განა სინანული შეუძლია ისეთ კაცს, რომელიც წინ ვერაფერ საიმედოს ჰხედავს? მიუგო ამიერი. — მე მხოლოდ ვწუხვარ წარსულსა და აწმყოზე. უფრო ჩემი სავალალო ისაა, რომ კიდევ ცოცხალი ვარ.

— ნუ თუ სავესებით წარიკვეთე სასო? — აღარაფრის იმედი დაგრჩენია? ჩაეკითხა ჩაფიქრებით და სასტიკად მოხუცი სადოკი.

დიახ... მე აღარაფრის იმედი არ მაქვს, — მიუგო ამიერი. — მხოლოდ... მხოლოდ ერთს რამეს შეეძლო ჩემს გულში იმედი შეეშუქებია. ნეტავი მენახა, რომ ადამიანი ქალი იქნება თუ კაცი, — რაიმე სამძიმო საქმეს აკეთებდეს, იტანჯებოდეს, მაგრამ არა თავის სარგებლობისთვის არამედ სხვისთვის. მაშინ, ვინ იცის, იქნება კიდევ მებრუნებია პირი ამ ქვეყნისაკენ. სულით და გულით მინდა ვიხილო სიყვარული სიყვარულისათვის. სანამ ამას ვერ ვიხილა, მანამდის ჩემს გულში სასოებას რა უნდა? როგორ უნდა ვირწმუნო ღმერთი, რომელიც თვალთ არ მიხილავს. მე ვიხილე ქვეყანა მისი შექმნილო, მაგრამ ქვეყანამ მე სარწმუნოება ვერ მომცა... ყოველივე ქვეყნად ამოთა, ამოთა ამოთა!..

— ამიერი-ბენ-იოჰანანის ძეგ! — სასტიკად ჩაილაპარაკა მოხუცმა. — შენ ისრაელი ხარ და მოტომ შეგიბრალეთ, ამას გვავიღებ ჩვენ რჯული. მაგრამ შენ ყოფილხარ სარწმუნოების უარის მყოფელი, უძლები, ღმერთზე სასოწარკვეთილი, და ამიერიდან შენ ჩვენთან მინა აღარ გეკნება, რომ წვეულა-კრულის ღირსი არ



გაეხდეთ. შენ შენი გზით იარე; ჩვენი გზები სხვადასხვანაირია!

დამწუხრებულმა მწყემსმა დანაყრებისათვის მადლობა შესწირა, ამოიღლია თიკანი და გაუღვა გზას ღამის წყვილადში თვისი ფარით... მხოლოდ ერთმა უნკროსმა ნათან მწყემსმა გააცილა იგი.

— აქვე, ძირს კიდევ მეორე ფარებია. ისაა ვიწრო და დაქცეული, მაგრამ შენ შენი ფარით შევიძლია დაიფარო თავი ქარიშხლისაგან, მშვიდობით იმგზავრე, ძმაო, და ღმერთმა უკეთესი დღენი მოგაგოს.

გალაგნის ძირში, დაქცეულ ფარებში თავი შეეფარებია ამიელს, თვალბზე ხელები დაეფარებია და ღრმათ ჩასძინებოდა.

იმან იმ დროს გამოიღვიძა, როდესაც ნათან ჰაბუკი მოვიდა.

— ჩვენ სასწაული ვიხილეთ, — ხმა მალა ამბობდა იგი. — საკვირველი გუნდი ანგელოზთა! შენ კი არ გსმენია მათი ჰიმნი? ისინი ვალობდნენ ისრაელის სასოებაზე... ჩვენ ამ საათში ბეთლემს მივდივართ, რომ პირისპირ ვიხილოთ იგი... გვიქენი სიკეთე და ჩვენს ცხვრებს დაბრუნებამდი მოუარე...

მთარე თეთრი ბურთივით დასაფლეთის მთის მწვერვალს დაეცა და სწრაფად ჩაექანა მის ვადალმა. აღმოსაფლეთისაკენ ვარსკვლავები ბეჭტავდნენ და პატარა სამოთხის მთაზე ცეცხლი ნელდებოდა... მოავიის მთებზე ნელ-ნელა იძვროდა ტრედისფერი განთიადი და წითელი ისრები ჰგმვრდნენ მას უწინარეს მზის ამოსვლისა.

მწყემსები გახარებულნი დაბრუნდნენ და მხიარულად უხიარებდნენ ერთი მეორეს ყოველივეს, რაც ნახეს. ყველაზე უფრო დამშვიდებით მოხუცი სადოკი მოუბნობდა.

ჩვენ ვიხილეთ ახლად შობილი ყრმა, რომელზედაც ანგელოზები გვივლობდნენ, და რომელიც შებვეული იყო ჩვრებში და ბაგაში შროლარე... საკვირველ არიან, უფალო, საქმენი შენნი!... სიბნელისაგან გამოდის მაცხოვრება შენი და სასოება ჩვენი, აღთქმული, სიმდაბლიისაგან აღდგენის... შენ კი, ჩემო ამიელ-

ბენ-იოჰანანის ძვე, ვერ იხილავ მას, უკეთუ არ ირწმუნებ...

ჰაბუკმა ნათანმა შევობრულად მხრებზე დაედო ხელი ამიელს.

შენც წადი ბეთლემს, — უთხრა მან წყნარად, გაგეხარდება, რომ ნახავ, შენს ფარას ჩვენ მოუვლით.

— წავალ, — სთქვა ამიელმა, — წავალ მისთვის, რომ ვიცი შენ ჩემთვის სიკეთე გინდა. მაგრამ, ეს კი აღარ ვიცი, ვიხილავ მეც თქვენს ნახულს და ან დაებრუნდები თუ არა აქვე.

### III.

ბეთლემის ვიწრო ქუჩები ის იყო იღვიძებდნენ, დამწუხრებულ მწყემსს ფეხი შეეღვა ქალაქში და მოჩვენებასაფით მიაბიჯებდა წინ.

ღიდი ქარესლის ეზო და მის გარშემო ოთახები მგზავრებით გაქედილიყო და ყველა წასასვლელად ემზადებოდნენ. აქ მოისმოდა ყიენი, ლაპარაკი, ხმაურობა, ქიხინი და ბლავილი სასაპალნე ცხოველებისა.

ერთს მიყრუებულ კლდის კუნჭულში მისჩანდა გამოქვაბული. იმ გამოქვაბულში ბინადრობდნენ ხოლმე მაშინ, როცა სხვაგან ბინა არ იშოვებოდა. მის შესავალთან სახედარი ება, რომელსაც იურავებდა და საკვებს აძლევდა მოხუცებული კაცი.

მწყემსი მიესალმა მას და უთხრა ეინაობა.

— მე ვარ იოსები, ნახარეთიდან, ხურო, — მიუგო მოხუკმა. ხომ შენც ნახე ის ანგელოზები, რომლებზედაც ვვითხრეს შენმა ამხანაგებმა — მწყემსებმა? შემოდი, შემოდი შენც, მხოლოდ წყნარად: ყრმას და დედა მისს მგონია სძინავს.

დამწუხრებულმა მწყემსმა წყნარად შეაბიჯა ფეხი გამოქვაბულში. მისი გრძელი აჩრდილი წინ წავიდა, რადგან სინათლე იქ მხოლოდ ერთი კარიდან შედიოდა. იქ ყველაფერი გადაბლებული, მიღაგებული, დასუფთავებული იყო; ერთ კუთხეში ძირს მიწაზე ჩაღის ლოვინი ეგო.

ყრმას ტკბილად ეძინა, დედა კი იჯდა და სდარაჯობდა. მან იგი აიყვანა პაგიდან, მუხლებზე აეთრი საფეხნი გადაიფარა და კალ-

თაში ჩაიწვინა, გახარებული და განცვიფრებული დაჰყურებდა მას და წყნარათ, წყნარათ უმღერდა ნანინას.

ამიელი მიესალმა მას, მუხლი მოიყარა მის წინაშე, რომ კარგათ შეეხებდა ყრმისთვის. ის მისჩერებოდა მას და ფიქრობდა რომ ყრმა არაფრით არ განირჩევა ჩვეულებრივ ახლად დაბადებულ ყრმებისაგან. მაგრამ, რაც უფრო მეტს აკვირდებოდა, მით უფრო უბრწყინდებოდა სახე.

— ბევრი ვაება და შიში მოგელის შენ შავისათვის, — უთხრა მან ჩუმათ და აღერსით დედამისს.

— დიახ, ესენი უკვე მიმიღია მე, მიუგო დედამ, და ამის გულისთვის სიხარულით დამითმენია.

— რა პაწაწაა, უმწუო... ჯერ კიდევ რამდენი გულის ხეთქა უნდა გადაიტანო მაგის გულისთვის...

— მისთვის ზრუნვა ჩემთვის სიხარულია, და ტვირთი მისი სუშბუქია ჩემთვის. — ღიმილით მიუგო დედამ.

— მაგ შენ ხომ ვერ გიცნობს, ვერც არაფერს გაგიკეთებს?

— სამაგიეროთ მე ვცნობ მას. ჩემს გულქვეშ მიტარებია იგი. ისაა ძე ჩემი და მეუფე ჩემი.

— რათ გიყვარს შენ იგი?

დედამ საყვედურით გადახედა მწუხარე მწყემსს და სახე დაულონდა.

— დაკარგული ყოფილხარ! წყნარად წაილაპარაკა დედამ.

— მე უბედური ვარ, — მიუგო მან.

დედამ თავი ნაზად გადააქნია.

— მე შავისი არა ვიცი რა, მიუგო დედამ. — მხოლოდ, უთუოდ შენ დაკარგული კაცი ხარ, თუ შენ, დედაკაცისაგან შობილი, დედის ეკითხები, რათ გიყვარს შეილიო! მე იგი მიყვარს სიყვარულისათვის... მისთვის რომ ღმერთმა მომეცა მე იგი და მასშია ჩემი სიყვარული. — და დედა მარიაში კვლავ მიუბრუნდა ყრმას თითქოს მათ მეტი აქ არაფინაო.

ამიელი წყნარი ნაბიჯით გარეთ გამოვიდა. იოსები კარს უკან ეღოდებოდა მას.

— შეეც მთაბზე, როგორ იხილეთ ანგელო-

ზები, სთხოვა იოსებმა ამიელს.

— მე ანგელოზები არ მინახავს; მე იმ დროს წამძინებოდა, — მიუგო ამიელმა. მაგრამ მე ენახე ყრმა და დედა მისი. კურთხეულ იყოს ის სახლი, რომელიც იფარავს მათ!

ის იქვე იოსებთან ქვაზე ჩამოჯდა და უამბო ყოველივე, რაც იმ ღამეს მწყემსებს უამბო.

— ახლა საით წახვალ? — დაეკითხა იოსები, როდესაც საუბარი გათავდა.

— ახლა მე სახლში წავალ. — მიუგო ამიელმა მე წავალ ჩემი დედ-მამის სახლში, გალილიაში... შორეა ჩემი გზა... ხომ არ მისურვებ სახლში მშვიდობით მიბრუნებას?

— მშვიდობით იარე, მეგობარო! უთხრა იოსებმა.

უძღვებმა შვილმა აიღო ხელში ჯოხი და გახარებული გაუდგა თავის გზას.

კობე გძელი.

ადქსას ქართველ სტუდენტების და მუშაკების მოწოდების გამო.

გაზეთ „იმერეთში“ წაეკითხე ადქსას ქართველი სტუდენტების და მუშების მოწოდება. რომელთაც გამოსთქვეს აზრი: შოთა რუსთაველის შეიდასი წლის იუბილეს მოწყობა და მისი ქანდაკის დადგმა საქართველოს დედა ქალაქ ტფილისში. სიხარულით გული გვესება ადამიანს, რომსა ზედავ ამნაირ გულ-შემატკივარ ახალ განდობას თავის სამშობლოზე და ეროვნებაზე. იმედი ესახება კაცს მომავალზე, რომ ქართველები დაუბრუნდებიან იმ სამშობლოს სიყვარულს და პატრონობას გაუწევენ ისე, როგორც საჭიროებს ამას დღევანდელი ჩვენი დასქმული ქვეყანა.

როგორი სასახელო იქნება ჩვენ ქართველებისთვის შოთას შეიდასი წლის იუბილეს გადახდა და აგრეთვე მისი ქანდაკის დადგმა ჩვენს დედა ქალაქ ტფილისში? ეს ხომ ერთი მხრით დაფასება იქნება უკვდავ შოთასი და მეორე, რათ ვღირება ქართველებისთვის ეს ძვირფასი საქმე უსხოვლების და ან მახლობელ მეზობლების თვალში? ეს ხომ ეროვნული შეგრძობა იქნება ქართველების, მოყვრის სასიამოვნო და მტრის გულგასაგმური. ვჭევი არ არის ამ სასახელო საქმეს გველო ქართველი ადტასებით შეტყდება და შეძლებისა გარდად

დაუტერს მზარს. იმედია ქართველი უკან არ დიხვეს ამ დროად საინტერესო საქმეში და შესაფერად შეხედება. თუ კი მთელი ქართველობა ამ შეიდასი წლის განმავლობაში შოთას ნაწერით ვამყობთ და თავი მოგვაქვს, როგორც ჩვენს მახლობლებში, ისე უცხო ქვეყნებშიდაც, ნუთუ მისთანა გამოვა ვინმე კიდევ ჩვენში, რომ ამ საქმეში არ გააბაროს და ხელი არ შეუწყოს მას? თუ შოთას „ვეფხისტყაოსანი“ ერთთ ვერთი საუკეთესო წიგნია ჩვენ ქართველებსთვის, ნუთუ მის სახელი, ისედაც უცვდავი, კიდევ არ უნდა ავაშალოთ და ვადიდოთ? ამაში რა ეჭვია, რომ ეს დიდი საქმე ვეულისთვის სასიხარლოა.

ფ. ზაბახიძე.

კვირია დან-კვირამღე

ანტიოქიის პატრიარქის, გიორგი IV მოსვლით პეტერბურგში, რუსეთში პატრიარქობის აღდგენის საკითხმა მიიღო ახალი შიშართულება. ერთის მხრივ პატრიარქობის აღდგენის მომხრეებს, პატრიარქის მღვდელ-მოქმედების ბრწყინვალეობამ, ფრთა შეასხა. მეორე მხრივ კი პატრიარქობის აღდგენის მოწინააღმდეგეებმა დაინახეს, რომ ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის უშლანდელ ურთიერთშორის დამოკიდებულებაში, პატრიარქი არაფერ საფრხეს არ წარმოადგენს და მას არაფერი პოლიტიკური მნიშვნელობა არ ექნება. ამიტომ, რადგან პატრიარქობის აღდგენის აზრმა ახალი მომდინარეობა მიიღო, როგორც „Нон. Вр.“-ს გაუგონია; პატრიარქობის აღდგენის საკითხი ახლო მომავალში გადაჭრით გადაწყდება. მაღე შეუდგებიან თვით აღდგენის წესის შემუშავებას, რაც, როგორც ფიქრობენ დასრულდება ანტიოქიის პატრიარქის პეტერბურგიდან გასვლამდე. პირველი პატრიარქი, როგორც ამბობენ, დანიშნული იქნება და არა ამხელული საეკლესიო კრების შიგნით.

როგორც გახეობებში იწერებინ ჩვენს პაპი მძი-მე ავთ გამხდარა.

კავკასიაში მეფის მოადგილე გრაფი ვიარახანოვი დაწოვი მძიმე ავთ აზონ. ამის გეშა თბილისის ვეფ-ლა ეკლესიებში სამშვიდობო პარკლისი გადაიხადეს შიგნით ხალხის თან დასწრებით. ნამესტნიკასთვის ექი-

მეშა მათეში გამგზავრებს და იქ თბი თვის დარჩენა ურჩევით. სამშვიდობო პარკლისი ყოვლადსამღედელო გიორგიმაც გადაიხადა ქუთაისში.

კიდევ სასულიერო ცენტრის განკარგულებით უკრაინულ წიგნების მალაზიაში პოლიციელებს 200 ხატი დაუაკებიათ. ამ ხატებზე წმინდანები, როგორც გახეობებში იწერებინ, დანატული ყოფილან ტანისამოსში, რომელსაც ამჟამს ნაპოინალური უკრაინული ქსოვილები.

ანტიოქიის პატრიარქმა დაათვალიერა სახელმწიფო სა-თათბირო და წასვლის წინ საპატოო სტუმრების ჩასაწერ წიგნში არაბულ ენაზე ჩაწერა შემდეგი შეწვევითა დეიო-სათა ჩემ სისომხლეში პირველად ვხედავ დეპუტატთა კრებას იმ ხალხისას, რომელიც ჩვენთან ერთათ აღი-არებს ერთ სარწმუნოებას. მოხარული ვარ, რომ მას-ში ენაზე ხალხის და სამღვდელოების წარმომადგენლე-ბის შეერთება ღვთის მფარველობის ქვეშ მყოფი მზა-რის საბედნიეროთ. და მე ეთქვი ჩემთვის, რომ ეს შეერთება თავდება ახალი ძალების აღმოცენების და ამიტომ დალოპოს ღმერთმა ეს თანხმობა და შეერთე-ბა, რადგანას მასშია სიყვთ და ევლასათვის სარგე-ბლობა. ჩაწერე საკუთარი ხელით 27 თებერვალს 1913 წ.

დუმის სამღვდელოების ერთ ჯგუფს შეაქვს კანონ-პროექტი შესახებ სამღვდელოების ჯამაგირების მომატებისა. კანონ-პროექტის ძალით მღვდელს ეძლე-ვა წელიწადში 1200მ. ჯამგირათ, მთავარ, დიაკვნებს სობოროებისას 600 მ. და მღვდელთნებს 400 მ. აქე-დან გამოწვეულ ხარჯის დასაფარავათ მოჩნეულია საე-კლესიო მამულებიდან შემოსავალი, სახელმწიფო ხაზი-ნის საშვალეებით და არა სავალდებულო მღვდელ შა-ხტურების შესრულებების საფასურით. ევლა სავალდებუ-ლო მღვდელ-მსახურება შესრულებული უნდა იქნას უსასყიდლოთ. კანონ-პროექტი სამი წლის განმავლო-ბაში უნდა ვატარდეს ცხიკრებაში. კანონ-პროექტის მიხედვით სამღვდელოება უხრუხველ ყოფილია სობორის დოის პენსიის დანიშნებით: მღვდლებს 600 მ. მთა-ვარდიაკვნებს 300 მ. და მღვდელთნებს 200 მ.

დეკანოზი მოსე შავგულიძის დაკრძალვა.

შაბათს, 23 თებერვალს, ზედაქვიტირის ეკლესიის სასაფლაოზე დაკრძალეს ცხედარი დეკანოზი მოსე შავგულიძისა. განსვენებული 48 წლის განწავლობაში პატიოსნად ასრულებდა სოფლის მღვდლის მოვალეობას; ის იყო ნამდვილი მოძღვარი და დაუღალავი მშრომელი ადამიანი; იგი სემინარიელი არ იყო, სასულიერო სასწავლებელში ჰქონდა კურსი დამთავრებული, მაგრამ ბევრ საშუალო განათლების მღვდელს მის დროს არ ჩამოუარდებოდა არც ხალხის სამსახურით და არც კეთილ საქმეში თაოსნობით. ის სცხოვრობდა ქუთაისში და უკანასკნელ დროს დიდხანს მსახურებდა ზედაქვიტირის ეკლესიაში. ავადმყოფობისა გამო განსვენებულმა 6 - 7 წლის წინად დაანება სამსახურს თავი და ცხოვრობდა თავის ოჯახში შვილებთან, რომელთაც ხელს უწყობდა, რითაც კი შეეძლო.

ბოლო დროს სამი წლის განმავლობაში ის ჩვეარდნილი იყო ლოგინად, ექვსჯერ გადაურჩა დავლას და მეშვადეჯერ კი ვეღარ გაუძლო და განუტევა სული. დასაფლავებას დაესწრო დიდძალი საზოგადოება. მოწვეული იყვნენ ყოველად სამღვდლო გიორგი და ქუთაისის სამღვდლოება. წესის აგების შესრულების შემდეგ, მღვდელმა ივანე კტიტიშვილმა წარმოსთქვა შემდეგი გრძნობიერი სიტყვა:

მამაო მოსე! შენ არ იყავი არც მკოსანი, არც პუბლიცისტი, არც ბელეტრისტი და არც ისტორიკოსი, რომელთა ლეწლსაც აღნიშვნენ ხოლმე განსვენების შემდეგ მათი ცხედრის წინაშე. ამათ, ერთი სიტყვით, ეწოდებათ საზოგადო მოღვაწეები. მე შემძლია უსირცხვილოთ, არა ფარისევლოურათ მივაწერო შენც, მამაო მოსე, ამ საზოგადო მოღვაწეთა ჯგუფს. მღვდელი, რომელსაც აბარია ორი ათასი სული, თუ იგი ზრუნავს მათ სულიერ კეთილდღეობაზედ, რასაკვირველია, ჩვენ თამამათ შეკვიძლია ვსთქვათ, რომ იგი საზოგადო მოღვაწეა; რადგან ორი ათასი სული ხავესებით

შეადგენს საზოგადოებას. შენ, მამაო მოსე, არ იყავი უმაღლესი სწავლით აღტურვილი, მაგრამ საკმაოდ მომზადებული იყავ მოძღვრის მოვალეობის პირნათლათ ასრულებისათვის. შენი სამაგალითო სამსახური: გულწრფელი წირვა-ლოცვა, სამწყოსადმი განუსაზღვრელი სიყვარული ფიზიკური შრომა, სიტყვის საქმით აღსრულება შეადგენდნ სარკეს შენი საყვარელი სამწყოსათვის, რომელთაც გადაჰქონდათ მაგალითი როგორც სიტყვით, აგრეთვე საქმითაც. შენ შენი სამაგალითო ცხოვრებით ჰქმნიდი იდეალს ქეშმარიტის მოძღვრისას. პირნათლათ შეასრულე ადამიანის მოვალეობა, რომელიც თვითეულს ჩვენგანს ვალათ აძევს. ზრუნავდი, როგორც მრევლისათვის, აგრეთვე შენი კერძო ოჯახისათვისაც: ოჯახური საქმეც კარგათ დააყენე, როგორც ვაჟის აგრეთვე ქალებისა. მიადწიე რა ღრმა მოხუცებულებას, ქრისტიანული წესით განისვენე. მართალია უკანასკნელი დღენი სიცოცხლისა ტანჯვისა გქონდა: ხანგრძლივი იყო შენი ავადმყოფობა, რომელიც არ შემძლია, მივაწერო შენს ცოდვებს, არამედ იგი მოაველინა განგებაშ შენი ცოდვებისა გამო კი არა, არამედ ჩვენდა სანუგეშოთ. შენ მართალია ტანჯვით მიიღე სიკვდილი, მაგრამ ჩვენ კი შენს მწუხარებასთან ერთათ ეროს იმედს ვხედავთ. ნათქვამია: „ომი შობს გმირსაო“. შენი ავადმყოფობა სწორეთ ომი იყო შენს ოჯახში და გმირი კი შენი რძალი პელოგია. ამ ახალგაზრდა ქალმა ნამდვილი გმირობა გამოიჩინა შენს ავადმყოფობაში.

მაშინ როდესაც ეხლანდელი ქალები ნუგუზალს სცემენ დედამთილ მამამთილსა, მისი ნუგუზალი იყო ცხვირსახოცი, რომლითაც იგი შენი დავლით დაცემულის ტუჩებიდან ლორწისა წმენდავდა; როდესაც მისი ტოლები სასეირნო ბაღის მიდამოებს სტეპნიდნენ, იგი ოთახიდან ოთახში დარბოდა და მთელს დროს შენს მოვლაში ატარებდა. როდესაც მაგის ტოლები ძილს იტებდნ „რადიუმ-მონპლენხირში“ სთელემით, იგი, შენი რძალი, მრავალ თვეობით და წლოობით შენს ტახთან სთელემ-

და და მოუთმენლათ ელოდა შენი ბრძანების ასრულებას; მაშინ როდესაც შვილის ტოლები შვილის აღსაზრდელათ და მოსაყვლელათ მიძღაღმბრდელეებს ქირაობენ, ეგ კი ორ აკვან-შუა მჯდომი გიყლიდა, როგორც უსუსურს ბავშვა.

მახსოვს მე ის წუთი, როდესაც ამ ზაფხულში შენ გნახე ეზოში ხის ქვეშ სავარძელში მჯდომი. იგი იჯდა შენს გვერდით და გიგერებდა ბუზებს, იგი ოჯახიშვილურათ მომეგება, შემდეგ წაიდა ჩემთვის სკამის გამოსატანათ. შენ ამ დროს მიიძახე „დედა“ო, ამ სიტყვამ შენაფიქრა: ვიფიქრე, როგორც ამბობდნენ, მამა მოსე გონზე ვადაშორებული ყოფილათქო. მაშინ გკითხე: „მამაო გეშლებათ ეგ დედა კი არა რძალია თქვენი“, მაგრამ უეცრად მიპასუხე: „არა, მამაო, ეგ არის ჩემი ლეიძლი დედა, დედა არ უელის შვილს ისე, როგორც ეგ მეო“. ამ სიტყვებმა ისეთი გავლენა იქონია ჩემზედ, რომ ძარღვები ამეშალა და თვალბში ცრემლები მომერია. ოხ, დედაკაცო, იკურთხოს შენი მარჯვენი; კურთხეულ იყოს ძუძუნი, რომელნიც გასაზრდოვებდნენ შენ. უზენაესმა აკურთხოს ოჯახი რომელმაც აღზარდა შენ.

ბ. ბ. ქალია ბურჯი ოჯახისა, ერისა და მთელი სახელმწიფოისა, ვინაიდან უკანასკნელი შესდგება ოჯახისა და ერისაგან.

ქალს შეუძლია იგი დაამზოს: ქალს შეუძლია იგი ააშენოს. როდისაა ბედნიერი ერი თუ არა მაშინ, როდესაც ქვეშაირიტი დედები იძლევიან ზნეობრივთ აღზრდილ-შვილებს? ქვეშაირითათ თუ ქალი ოჯახზედ არ ზრუნავს და ნამდვილ შვილებს არა ზრდის, იგი რითი გაუწყვეს სამსახურს ოჯახს, ანუ რითი იქმნება ბედნიერი ერი? მართალია შენ ტანჯვით მიიღე სიკვდილი, მაგრამ შენმა ხანგრძლივმა იფათყოფობამ, რომელსაც გმირულათ ებრძოდა შენი რძალი პელაგია, შექმნა ნამდვილი იდეალი ქართველი ქალისა. მახსენდება უკვედვი მგონის ნიკოლოზ ბარათაშვილის ძველ ქართველ-ქალებსადმი შენატერა.

„პოი დედანო, მარად ნეტარნო, კურთხევა თქვენდა ტყბილ სახსოვარნო, რა იქმნებო-

და, რომ ჩვენთა დედათ სულიმც-ლა თქვენი გამოყოლოდა“.

თუ ჩვენში პელაგისთანა ქალები გამრავლდებიან, მაშინ ამ მხრივ ნატერა მგონისა აღსრულდება. შენ კი, მამაო მოსე, ევედრე ყოვლად წმინდა ღვთის მშობელსა, ნუ მოაკლებს მის მეოხებას თვის წილ ხელობილ ქვეყანასა, ჩაუნერგოს დიადი აზრები ჩვენს ქალებს და მით გააბედნიეროს ჩვენი ერი. საუკუნოთ იყოს ხსენება შენი, ღირსო მამაო მოსე!“

ლაღო ბზვანელი.

ბ ი ბ ლ ი ო ზ რ ა უ ი ა.

დკ. მარკოზ ტყემალაძე.

ზმა მწყემსისა.

(მოძღვრებანი და სიტყვანი).

ეს უს-არის გამოვიდა მამა მარკოზ პაელებს ძის ტყემალაძის წიგნი, რომელიც შეისავს პატრიარქული დეკანოზის მიერ სხვა და სხვა დროს წარმომთქმულ ქადაგებებსა და სიტყვებს.

მამა მარკოზი წამსახურია ტფილისის წმ. ნიკოლოზისა და ქვაშეთის ეკლესიებში და სიონის ტაძარში, სადაც იგი დღემდის ასრულებს დეკანოზის მოვალეობას, და, მაშასადამე, მას წილად ზედა ქართველის ერის მოძღვრობა. თავისი თითქმის 25 წლის სამსახურის დროს მას ქონდა მრავალი შემთხვევა გამოეთქვა თავისი გულ-ნადები და ნააზრი ქართველი ერისთვის საჭირ-ბოროტო საკითხებზე თავის სამწყვოს წინაშე.

წინამდებარე წიგნის, ვარდა ჩვეულებრივ სადღესასწაულო ქადაგებთა, შეისავს სხვადასხვა ჩვენის ერის შემთხვევებით გამოწვეულს სიტყვებსაც; განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს სიტყვები, რომლებიც ეხება ჩვენი ერის ზნედასმულობას, ოჯახურ მდგომარეობას, ურთიერთ შორის შურსა და მტრობას, თვით მკვლელობასა და სხვებს.

აქვე იპოვიოთ ქართველი მოღვაწეების ცხოვრების მოუდგომელ დაფასებას. საუკხოვოდ აქვს მამა მარკოზს აღწერილი და დაფასებული აღყაზბევისა, ილია ქავთაძისა, რ. ერისთავისა და სხვა წარჩინებულ ქართველთა ცხოვრება და მათი უანგარო სამშობლოს სიყვარული. მამა მარკოზის შიონ-

მის ღირსებას შეადგენს უბრალო ხალხური ენა და გრძნობათა სიმართლე და გულ-წრფელობა. რასაც იმჟამად შეეხებოდათ სხნეო წიგნებში.

სამწუხაროდ მ. მარკოზს დაეწვებია სიტყვათა და კადაცბათა დათარღლება, რაც ძლიერ აძნელებს ამ საინტერესო წიგნით სარგებლობას.

ამ გამოცემის ღირსებად უნდა ჩათვალოს წიგნის გარეგანი შარეპი: ძვირფასი კადალდი და მსხვილი და ლამაზი შრიფტი და ღარიბი ხალხისთვის ხელ-მოსწდომი ფასი (ეს შევნიერე გამოცემა შეიძავს 208 ბვედს და ღირს სულ 3 აბახი) - ყველა ეს ღირსად ხდის მამა მარკოზის შრომას გავრცელებულ იქმნას იგი ჩვენ ხალხში, რომელსაც დღეს კიდევ უფრო, ვიდრე დღემდე, ესაკიროება ტყეშარიტი მოძღვრის დარიგებით ხელმძღვანელობა.

ვისურვებთ რომ გავრცელებულიყოს მამა მარკოზის შრომა და ეს ტყეშარიტი ბა მწყემსისა არ დარჩენილიყოს ხმად მღადადებლისა უდაბნოსა ბინა.

**იუსტინე აბულაძე.**

**სტამბოლის ქართუელთა მინასტერი.**

ჩემმა სამი წლის ქ. სტამბოლში ყოფნამ ძალიან შომათისა და დამაბლოვა იქაურ ქართულ კათოლიკეთა მონასტერს, და მის კრებულს, მათი მოკრძალებით და შრიფტით ეკლესიური წესების შესრულება, მათგან საერთოთ ზალაში იღუმალი სადილობა, ეფისტიკალების კითხვით, ზომიერი და სუფთა სანოვანის ხმარება, მათი დაუსტრომელი შრომა, მოძრაობა, არ ამოფიცს ჩემი გულიდან და ამიტომაც ვარ მოწადინებული, რომ ჩვენსა და მათ შორის იყოს დახლოებული კავშირი. ვინც ქართულ გაზეთებს თვალყურს ადევნებს, ბევრჯან იღო მათი ამბები აწეხალი, მაგრამ ამ უკანასკნელად, გაზეთ იმერეთში დიდათ საყურადღებო და სასიამოვნო ამბები იყო აწერილი პატრიარქისა ავტორის შ. ბ. მიერ, ა) წინაობის დღესასწაული 14 იანვარს დიდის დიდებით გადუბდია მონასტერს, მით უმეტეს, რადგან მონასტრის უფროსის თხოვნით პაპისგან წება რთვა მოსულა, ქართულად ლიტურგიის შესრულებისა, ბ.) ერთმალეობა ახალსხებლმ მოღვედმა მამა მეტრე ხატიკიაშვილმა. მოახერხ ხსენებული მონასტრის დაარსება და არაფრის უკიდვისა და დიდების მიხსებით სწვა რთვულად ეკლესიურ ტიპიკონს არ დამოხსნადებია, გარდა ქართულისა, რომელსაც მშენებრი წესით

წაუყვანია თვის სისიოსხეში, მაგრამ მისი სიყვდილის შემდეგ, ქართულთა დაუძინებელ მტრებს უსარგებლნით და ქართულ ტიპიკონზე მომხატებული სამღველოები ლათინურ წესზე უკურთხებიან. მაგრამ ესა რაკი მონასტრის უმფროსობა წილად და ღირსად ზედა, ისეთ თვის სამშობლოსა და ერის მოყვარულ, დიდ ბუნებრივან ადამიანს, მამა პიო ბალიძეს, ყველა ქართული დაიმედებულა, რომ ყოველნაირ წარუალოსკეს ეკლესიურ წესს და სწავლა განათლებას მონასტრისა და მის სემენარიაში ისე ქართულთ ადადგენს, რომლისათვის წინაწინვე დიდი მადლობის ღირსია მამა პიო ბალიძე და მისი ხელის შემწყობი ყველა ქართველები, რომლებიც ასეთი მხურვალე შრომა-სურვილით მიიღტივან თვის ერის უყვდაე-ყოფისათვის.

მე თუთონ დარწმუნებით ვიპი, რომ მადლღირსი მამა პიო ბალიძე ბევრს მეტათ სასარგებლო და განმანათლებელ საქმებზე ფიქრობს თვის თანამეწყვებით, სდილობს, რომ ბევრ უმწრო ქართველს მოაწოდოს სწავლა განათლება, და ლეკმა-პური უშოვოს თვის ენარგიულ მოღვაწეობით. მე ეს მისი კეთილი სურვილი ჩვენ წერაკითხვის საზოგადოების კრებაზე განვასხადე, რომელიდანაც ეგზავნება ოთხას წიგნამდის მათის ბიბლიოთეკის და შკოლის სასარგებლოდ. უსურვებ მ. პიოს განაგრძოს თვისი გულწრფელი სიყვარული ქართველთ ბისადმი და ქართველებსაც უსურვებ ძველბერად ქართველურათ შესწევდესთ გული და ძალა ყოველ ქართველთა დასახმარებლად. მიუხედავად წოდებისა და სარწმუნოებისა.

**ვლადიმერ ჯ. წერეთელი.**

**მადლობის გამოსცხადება.**

**მამია რედაქტორა!**

ჩება მომეპით თქვენი ღრმათ პატრიარქულ გაზეთის საშეალებით გულ-წრფელი მადლობა გამოუტყხადო შუა-მთის მონასტრის წინამძღვარს მ. არქიმანდრიტ წესტორს, რომელმაც კეთილ იჩება და შესწირა რწმუნებულ ჩემდამო საბლაღობინო ღარიბ ეკლესიებსა მამ სამშობლოში. 12 ხელს სამღველო შესამოსელი (ფოლოხი, ოლარი, სარტყლო სამღვაეები და ბედერკი) აი სია იმ ეკლესიებისა:

- 1 მუხა-კრუის ღვთის მშობლის ეკლესია, 2 მუხა-კრუის კონსტანტინის ეკლესია, 3 მუხა-კრუის კეთილთა ეკლესია, 4 მუხა-კრუის წმ. გიორგის ეკლესია, 5 მარსაჯაონის ღვთისმშობლის ეკლესია, 6 დავისნარის ღვთისმშობლის ეკლესია, 7 ტიანთიურის ეწრის ყოველად წმ. სამების ეკლესია, 8 ტიანთიურის ძველი სა-

მების ეკლესია, 9 კუშპოურის ჯვარსმის ეკლესია, 10 გომის მირქმის ეკლესია, 11 ახალ ოფეთის ზედმიწერილი ეკლესია, და 12 ტყვიშის წმ. გიორგის ეკლესია.

გამოჩინებულის საბლაღოზინო ოლქის ბლაღოზინი მღვდ. იუსტინე ტაბიძე.

**ძამაო რედაქტორო!**

უმორჩილესად გთხოვთ ნება მიბოძოთ, თქვენი პატრონული გაზეთის „შინაურ საქმეების“ საშუალებით უღრმესი მადლობა გამოუცხადოთ როგორც ჩემი მზრვე, აგრეთვე ჩემის სამრევლოს მზრითაჲ, ეკის ნათლის მსემლის ეკლესიის სამრევლოსა შინა მსხოვრებს ბ. აქიმ კოსტანტინე სოლომონისძე ადამიას, რომელმას კეთილ ინება და შემოსწირა ხსენებულ ეკლესიას სამღვდელო კურტლები ვერსხლისა: ბარძიმი, ფეშხუმი, კოვზი, ვარსკელაი და ორი პატარა ლამბაქი, ღირებული სამოსდა ათი მანეთისა (70 მ.). ვისურვებ როგორც მათთვის, ისრე მათ წამბაძველთა ხანგრძლივ სიცოცხლეს და კეთილწარმატებას.


ეკის ნათლისმსემლის ეკლესიის მღ. გიორგი ახალაია.

**„შინაური საქმეების“ ფოსტა.**

ხელის მომწერთა საუურადღებოთ. თუ ვინმეს არ მისდის გაზეთი, რედაქცია უმორჩილესად თხოვს აცნობონ, დროზე.

რედაქტორი მღვდელი სიმონ მჟავლიძე.

გამომცემელი იოსებ ლეჟავა.



ვახაკოვის ქუჩა, № 17,

ღებულობს ყოველგვარ სასტამბო საქმეს ასრულებს დროზე და სუფთათ.

ფასები დაკლებულია.

ძიადება ხელის მოწერა 1913 წლისათვის.

უოველთვიურ ჟურნალ

**„განთიადზე“**

(წელიწადი პირველი)

და უოველთვიურ ჟურნალ

**„შინაურ საქმეებზე“**

წელიწადი მეხუთე

წლიური ფასი ჟურნალისა ცალკე 5 მანეთი, გაზეთისა 1 მანეთი, ორივესი ერთად 6 მანეთი. სახალხო სამკითხველოებს და სოფლის მასწავლებლებს ორივე გამოცემა წლიურათ 7 მანეთად დაეთმობა. ორივე გამოცემა სარწმუნოებრივ-საზოგადოებრივია.

რედ. მღ. ს. მკედლიძე.

# „КАВКАЗСКАЯ ШКОЛА“

## ПЕДАГОГИЧЕСКІЙ ЖУРНАЛЪ

ИЗДАЕТСЯ ВЪ ТИФЛИСѢ

При ближайшемъ участіи г. г. Н. А. Акунова, П. И. Казанцева, Н. М. Спилоти, Э. Султанова и многихъ другихъ мѣстныхъ педагоговъ.

Программа журнала: 1. Статьи по теоретическимъ и практическимъ вопросамъ умственного, нравственного, физического воспитанія, образованія и самообразованія. 2. Психологія, экспериментальная педагогика. 3. Семейная и школьная жизнь Кавказа съ точки зрѣнія интересовъ воспитанія и образованія. 4. Художественное образованіе, рисованіе, лѣпка, ручной трудъ, музыка и пѣніе. 5. Природовѣдѣніе и образовательныя экскурсіи. 6. Школьная гигиена. 7. Критика и библиографія. 8. Школьная жизнь: корреспонденція, статистика, хроника и новости. 9. Почтовый ящикъ: вопросы и отвѣты. 10. Объявленія.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА, на 1 годъ съ доставкой и пересылкой — 3 р. полгода — 1 р. 50 к., 4 мѣсяца — 1 руб., для сельскихъ учителей съ доставкой и пересылкой на 1 годъ 2 руб., на полгода — 1 руб.

Подписка принимается въ Тифлисъ, въ магазинѣ Т-ва „ПЕСТАЛОЦЦИ“, Михайловскій пр., д. № 101.

Дневныя и всякія корреспонденціи направлять по этому же адресу съ прищепкой: Для „Кавказской школы“.

Редакторъ-издатель Х. Самузянъ.